ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №53

აბაშა, 2022 წლის 17 ოქტომბერი

სახალხო დღესასწაულის - ,,აბაშობის" ჩატარების დროის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

განკარგულება:

1. სახალხო დღესასწაული ,,აბაშობა" ჩატარდეს ყოველწლიურად ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში, არასამუშაო დღეს, იმ პერიოდისთვის მუნიციპალიტეტში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აბაშობის" სახალხო დღესასწაულის თარიღის დადგენის შესახებ" აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 აგვისტოს №45 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია